ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

მუნიციპალიტეტი: ტყიბული
ქვეყანა: საქართველო

2019 წელი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

მოხარული ვარ, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტს მიეცა შესაძლებლობა ჩართულიყო ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რომლის ფარგლებშიც მომზადდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა (LEDP). გეგმა მიზნად ისახავს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირებასა და განვითარებას, უმუშევრობის დონის შემცირებას და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.

ჩვენთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ევროკავშირთან თანამშრომლობა, რადგან ვაცნობიერებთ მმართველობის იმ პრინციპების მნიშვნელობას და საჭიროებას, რომლებიც უკვე წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მიგვაჩნია და ღრმად გვწამს, რომ აღნიშნული პრინციპების დანერგვა და ევროკავშირის მნიშვნელოვანი გამოცდილების გაზიარება, ჩვენთვის იქნება გარანტი იმისა, რომ კერძო-საჯარო-სამოქალაქო პარტნიორობის აქტიური ჩართულობთ გადავდგამთ მასშტაბურ ნაბიჯებს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებისა და დივერსიფიცირებისაკენ.

სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში, ყველა ეტაპზე, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული ბიზნეს და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლები, რაც დოკუმენტს კიდევ უფრო ღირებულს და საპასუხისმგებლოს ხდის. შესაბამისად, მაქსიმალურ ძალისხმევას მოვახმართ სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების სრულყოფილად შესრულებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მოსახლეობის მიგრაცია (გარე და შიდა) და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების პოტენციალის ადგილობრივი განვითარებისთვის გამოყენება. შრომითი ემიგრანტებისა და დიასპორის ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ისე ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების ხელშესაწყობად. ამიტომაც წინამდებარე გეგმაში ეს საკითხებიც შეძლებისდაგვარად აისახა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის, კერძო სექტორთან თანამშრომლობა ეკონომიკური კეთილდღეობისა და სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი წყაროა. შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით დასახული ღონისძიებების განხორციელებისთვის და ყველა სექტორს, სტრუქტურას, ორგანიზაციასა და მოქალაქეს მოგიწოდებთ მაქსიმალური ჩართულობისაკენ, რათა შესაძლებლობათა გაერთიანებითა და ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ საერთო მიზანს.

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

თემურ ჩუბინიძე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
სახელი, გვარი: ზაზა გოჩელაშვილი
თანამდებობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე
მისამართი: ქ. ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი #3
ტელეფონი: +997 (497) 222020
ელ.ფოსტა: municipal@tkibuli.ge
ვებგვერდი: tkibuli.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ ფარგლებში. იგი მიმართულია მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობების ზრდის, განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობისაკენ.

გეგმა შეიქმნა კერძო-საჯარო თანამშრომლობის ფარგლებში უშუალო შეხვედრებისა და ანკეტური გამოკითხვების საშუალებით. შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რომელიც არსებულ რეალობასთან რელევანტურია. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, რომელიც ძირითადად ეყრდნობა მის მდიდარ ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობას, არსებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურ, ინტელექტუალურ, ტურისტულ, საინვესტიციო შესაძლებლობებს, მოითხოვს ისეთი სუსტი მხარეების დაძლევას, როგორიცაა არასაკმარისად განვითარებული საჯარო ინფრასტრუქტურა, მიგრაცია, სამუშაო ადგილების და მუნიციპალური სერვისების სიმცირე, არასაკმარისად კვალიფიციური კადრები, მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა, მიგრაციაში მყოფი და მიგრაციიდან დაბრუნებული თანამოქალაქეების შესაძლებლობების გამოუყენებლობა და სხვა.

მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო ხედვაა ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მისი მდგრადი განვითარების საფუძვლების შექმნა, რათა შეიქმნას მიმზიდველი და ხელსაყრელი გარემო პირობები სამეწარმეო აქტივობების ზრდის, ტურიზმის განვითარების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების, სწავლებისა და დასვენებისათვის.

გეგმის განხორციელებით მიიღწევა სტრატეგიული მიზნები, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას, ხელს შეუწყობს ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას, ხელს შეუწყობს ბიზნესს, განათლებულ და კვალიფიციურ სამუშაო ძალის დასაქმების შესაძლებლობებს, გაზრდის მუნიციპალიტეტის იმიჯს შიდა და გარე პოზიციებზე, შექმნის კერძო-საჯარო პარტნიორობის კარგ შესაძლებლობებს.

მუნიციპალიტეტს მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადაწყვეტილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები მიმართოს კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბებაში, ადგილობრივ კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება-განვითარებაში, ხელი შეუწყოს ადგილობრივი პროდუქტის პოპულარიზაციას. გეგმით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ტურისტული წვევის ობიექტად გადაქცევა - ტურიზმის ინფრაქტრუქტურის მოწყობა და ტურისტების მოზიდვა. ასევე, გეგმა ითვალისწინებს ადგილობრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მათი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე საინვესტიციო პაკეტების მომზადებასა და ბიზნესისათვის შეთავაზებას, ადგილობრივ ეკონომიკური აქტივობებში ჩართული და დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების პროფესიული შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით განსაზღვრული ძირითადი აქტივობების დაფინანსება გათვალისწინებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით, სახელმწიფო და კერძო სექტორის ფინანსური თანამონაწილეობით.

2. შინაარსი

მერის მიმართვა 2
მოკლე შეჯამება 3
გეგმის შინაარსი 4
ცხრილების და გრაფიკების სია 4
აბრევიატურები 4
გეგმის შესავალი 5
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 7
ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 7
ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 7
ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება 10
ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია 12
წვდომა ფინანსებზე 13
მიწა და ინფრასტრუქტურა 14
მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო 15
უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება 15
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 16
SWOT ანალიზი 17
ხედვა და მიზნები 19
სამოქმედო გეგმა 2019-2020 20
დაფინანსებების სქემა 24
მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 26

3. ცხრილების, გრაფიკებისა და დანართების სია, აბრევიატურები

ცხრილები

დასაქმების მაჩვენებელი 7
მუნიციპალიტეტში რესგისტრირებული საწარმოები 8
ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება 11
ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევები 13
მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი 17
სამოქმედო გეგმა 20
დაფინანსებების სქემა 24
მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 26

გრაფიკები

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა 6
მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები 9

დანართები

დანართი ა – გეგმის განვითარებისათვის გავლილი პროცესები

აბრევიატურები

M4EG - მერები ეკონომიკური განვითარებისათვის

LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
IOM - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
სსო - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
გრგ - განაშენიანების რეგულირების გეგმა

4. გეგმის შესავალი

ტყიბულის მუნიციპალიტეტი ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ შეუერთდა 2018 წლის 18 იანვარს.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივაში ჩართვა ტყიბულის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ჩამოყალიბება ადგილობრივი პარტნიორობის, დაინტერესებული მხარეების, მათ შორის განსაკუთრებით ეკონომიკური აქტიორების ჩართვის გზით, დაფუძნებული საჯარო-კერძო სექტორების დიალოგის პრინციპებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტყიბულის ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის. გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ ზრდას, განვითარებასა და დასაქმებას.

წინამდებარე ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებას საფუძლად დაედო შემდეგი დოკუმენტები: „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია“, „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი“, „ტყიბულის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები“, „საწირე - მომავლის სოფელი, კონკურენტუნარიანობის ამაღლება ტურიზმისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობით“ და სხვა.

გეგმა შემუშავებულ იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების თანახმად და 5 თემატური ბლოკიდან მოიცავს შემდეგ ოთხ ბლოკს: 1) მიწა და ინფრასტრუქტურა; 2) უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; 3) გარე პოზიციონირება და მარკეტინგი; 4) წვდომა ფინანსებზე. პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო, სამოქალაქო და ბიზნესსექტორების წარმომადგენლები. გეგმის საჯარო განხილვები მოეწყო ახალგაზრდობის, განათლების, სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებთან. გეგმა ასევე განხილული იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გელათი, ცუცხვათი, მოწამეთა, საწირე, სადაც შეხვედრებზე მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობა და ტურიზმის სფეროში საქმიანობით დაინტერესებული პირები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ზღვისდონიდან 600 – 800 მეტრ სიმაღლეზე და ძირითადად მოიცავს ოკრიბის (მუნიციპალიტეტის ისტორიული დასახელება) ქვაბულს. მისი საერთო ფართობია 47800 ჰა. ტყიბულის მუნიციპალიტეტი შედის იმერეთის რეგიონში სხვა 10 მუნიციპალიტეტთან და ქ. ქუთაისთან ერთად. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრს, ქ. ტყიბულსა და ქვეყნის დედაქალაქს, ქ. თბილისს შორის მანძილი 240 კმ-ია, საავტომობილო ტრანსპორტით გადაადგილების დრო 3,5 სთ. უახლოეს აეროპორტამდე (კოპიტნარი) მანძილი 60 კმ.ია, საავტომობილო ტრანსპორტით გადაადგილების დრო 1,2 სთ.

კლიმატური თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქს. ტერიტორიის ნაწილში, ქ. ტყიბულის ჩათვლით, ჩამოყალიბებულია ნოტიო ჰავა საკმაოდ ცივი ზამთრით და ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა +9, +14^{0}C, უცივესი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა უმეტესად დადებითია და +1, +4^{0}C ფარგლებშია, ხოლო შედარებით ცივ წლებში -2, -4^{0}C შეადგენს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ბუნებით. მუნიციპალიტეტის ტყის ფონდის ფართობი 29 183 ჰექტარს შეადგენს. ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია როგორც ვიწრო არეალის კოლხური, ასევე კავკასიური ენდემური სახეობებითა და ჯიშებით. ყველაზე გავრცელებული ჯიშებია მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია და ა.შ. მუნიციპალიტეტში ვხვდებით რელიქტურ მცენარეებს: ბზა, უთხოვარი, შქერი, წაბლი და სხვ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა სახის სამკურნალო წყლებით. ბალნეოლოგიური სამკურნალო წყაროებია: კურსებში, ბუეთში, სოჩხეთში, მანჭიორში, მუხურასა და ლეღვაში, ხოლო სასმელი მინერალური წყლებია: ლეღვაში, მანჭიორში, ცუცხვათში, ძიროვანში და სხვაგან. აქედან ხდება მხოლოდ მინერალური წყალის „ლეღვას“ ჩამოსხმა და რეალიზაცია.

მუნიციპალიტეტი შედგება ერთი ქალაქისა და 47 სოფლისაგან. მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებული პუნქტების ნაწილი განიცდის დეპოპულაციას. მაგალითად, სოფლებში: ლაფეთი, გადაღმა წყალწითელა, ნაძვა, კორეეთი, ლეყერეთი, საშუალოდ 7-8 მოსახლეა დარჩენილი და მათი საშუალო ასაკი 55-60 წელია. რამდენიმე წელიწადში ამ დასახლებულ პუნქტებს საერთოდ დაცლა ემუქრება. 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 20 839-ია. მათგან, 47 % ცხოვრობს ქალაქად 53% კი სოფლად, 51,5% ქალია და 48,5% კაცი. მოსახლეობის საშუალო ასაკია 44.3 წელი. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის რაოდენობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, 2001 წლის საყოველთა აღწერის მონაცემებთან შედარებით, 34%-ით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია ბუნებრივი კლებითა და მეტწილად მიგრაციული პროცესებით.

მიგრაციული პროცესების შეჩერების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის შემოსავლების მატების და სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტიმულირება. ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მყოფი და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების გამოცდილებისა, კონტაქტებისა და ადამიანური თუ ფინანსური პოტენციალის გამოყენება.

გრაფიკი 1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა (ათასი კაცი)



2013-2014 წლების პერიოდისათვის აქტიურობის და დასაქმების მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია და საშუალოდ შეადგენს შესაბამისად - 70%-ს და 64 %-ს (იხილეთ ცხრილი N1.2). თუმცა, თვითონ ის ფაქტი, რომ ზრდას პრაქტიკულად ადგილი არა აქვს, მიუთითებს, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება დასაქმების კუთხით. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია დასაქმების მაჩვენებელი 2015 წელს 64,6%-ს შეადგენდა, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში ძირითადი წონა - 67% თვითდასაქმებულებზე მოდის.

ცხრილი N 1. დასაქმების მაჩვენებელი (იმერეთის რეგიონი)

	2013	2014	2015
უმუშევრობის დონე %	9.3	10.1	8.8
აქტიურობის დონე %	69.9	70.6	70.8
დასაქმების დონე %	63.4	63.5	64.6

ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ 2016 წელს ეს მონაცემი საკმაოდ დაბალი იყო და 2133 პირს შეადგენდა, რაც 2017 წელს კიდევ უფრო შემცირდა 270 ერთეულით.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ სტანდარტების, მოწოდებული სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. მათზე დაყრდნობით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 13.03.2018 წლის #47611 ბრძანებით (LED გეგმის მოსამზადებლად) შეიქმნა 9 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან 2 იყო ბიზნესსექტორის წარმომადგენელი, 3 სამოქალაქო სექტორის, ხოლო 3 კი თვითმმართველობის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე. სამუშაო ჯგუფი იკრიბებოდა კვირაში ერთხელ, ანაწილებდა ჯგუფის წევრებს შორის დავალებებს და ისმენდა შესრულებული სამუშაოს ანგარიშს. ასევე, ჯგუფი ამზადებდა სამოქმედო გეგმას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრებისათვის, განიხილავდა მათ მოსაზრებებს და აკეთებდა დასკვნებს გეგმაში შესატანად.

გეგმის მოსამზადებლად სამუშაო შეხვედრები აქტიურად ტარდებოდა ადგილობრივი საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრებს ჰქონდა როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ხასიათი, პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები თვითმმართველობის (როგორც მერიის, ასევე საკრებულოს), სამთავრობო უწყებების, ბიზნესწრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ამგავარი ტიპის სამუშაო შეხვედრებმა მუნიციპალიტეტს დაანახა ფართო სურათი არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გასაანალიზებლად და განვითარების რელევანტური აქცენტების დასასმელად.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

i. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ეკონომიკის მიმართულებით მნიშვნელოვანია ტყიბულში არსებული სასარგებლო წიაღისეული: ტყიბულში მოიპოვება ქვახშირი, (ქვანახშირის მარაგი დაახლოებით 3.1 მლნ. მ3-ია) ტეშენიტი, გრანიტი და სხვა სასარგებლო რესურსი. მრეწველობის ძირითადი დარგია ქვანახშირის წარმოება. ტყიბულში მოქმედებს ქვანახშირის მომპოვებელი ორი შახტი, თბოელექტროსადგური და ერთი ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა. მუნიციპალიტეტის

ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფიგურანტია შაორის ჰიდორელქტროსადგური და ტყიბულის წყალსაცავი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2017 წლის მონაცემების თანახმად, მოქმედია 377 საწარმო, რომელთაგან მნიშვნელოვანი, ყველაზე მოცულობითი საწარმოა ქვანახშირის მომპოვებელი შახტები, რომლებზეც დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში სხვა ეკონომიკური დარგების განვითარება. მოქმედი საწარმოთაგან 2 არის მსხვილი საწარმო, 10 საშუალო და დანარჩენი მცირე.

ეკონომიკური საქმიანობის ტიპი	რაოდენობა	მცირე	საშუალო	მსხვილი
სულ რეგისტრირებულია	**377**			
სამრეწველო საქმიანობა:	35	73%	17%	10%
სოფლის მეურნეობა:	12	93%	7%	
საცალო ვაჭრობა:	102	100%		
ბიზნეს სერვისები (ტრენინგი, კონსალტინგი, მარკეტინგული კვლევები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სარეკლამო მომსახურება, გამომცემლობა)		0	0	0
სამედიცინო სერვისები:	12	75%	25%	
იურიდიული სერვისები (ნოტარიუსი, ადვოკატი):	3	100%		
საყოფაცხოვრებო სერვისები (პარიკმახერის მომსახურება, სამრეცხაო მომსახურება, ავტომანქანის შეკეთების სერვისები, მცირე შეკეთების სერვისები)	12	100%		
რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა:	17	100%		
სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა:	12	100%		
IT სერვისები:	4	100%		
ტრანსპორტი:	37	98%	2%	
მშენებლობა, დეველოპერული ბიზნესი	25	96%	4%	
საკომუნიკაციო მომსახურება:	3	100%		
შემოქმედებითი სერვისები (დიზაინი, ფოტოგრაფია, ვიდეოგრაფია, ვებ-დიაზინი, სოციალური მედია, ღონისძიებების მართვა)	4	100%	0	0
ნარჩენების გადამუშავება	1		100%	
ტურიზმი:	1	100%		
სხვა:	97	100%		

ტყიბულის მრეწველობის ძირითად დარგს წარმოადგენს ქვანახშირის მრეწველობა. ქვანახშირის საბადოს აღმოჩენის თარიღად 1825 წელი ითვლება, ხოლო მისი სამრეწველო დამუშავება-

ექსპლოატაცია 1846 წელს დაიწყო. ქვანახშირის ბალანსური მარაგი 307 მილიონ ტონას შეადგენს, ხოლო საერთო გეოლოგიური მარაგი კი ერთ მილიარდ ტონამდე აღწევს.

2006 წელს შახტები შეისყიდა შ.პ.ს. „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფ)"-მა. მათ მიერ განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციით მოხდა არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კაპიტალურად შეკეთდა და აღდგა დატბორილი გვირაბები, მომზადდა ახალი ამოსაღები ველები, აღდგა ზედაპირული კომპლექსი, მთლიანად გადაიხურა სარკინიგზო მაგისტრალი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ზედაპირულ შენობა-ნაგებობებს. ქვანახშირის მოპოვება აღდგა ორ შახტში, აშენდა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც ექსპლოატაციაში გავიდა 2009 წლიდან. მოპოვებული ნახშირის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზეც. დასაქმებულთა რაოდენობა 400 კაციდან 1500 კაცამდე გაიზარდა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი ცდილობს გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. დღემდე გრძელდება ადამიანური რესურსის გადინება ქალაქიდან. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის. აშკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. სუსტია მწვანე ეკონომიკის ტენდენციები, არასაკმარისად არის განვითარებული კერძო სექტორში რესურსდამზოგი ტექნოლოგიები და ენერგოეფექტური სისტემები.

მუნიციპალიტეტის რთული გეოგრაფიული მდებარეობა და შედარებით მკაცრი კლიმატი არ არის ხელსაყრელი სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია. მეტ-ნაკლებად განვითარებულია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მეფრინველეობა, დაბალ ზონაში განვითარებულია ასევე მევენახეობა, სუბტროპიკული, მარცვლოვანი, პარკოსანი, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურები.

სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობია 11396 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 4 766 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სათიბი 21ჰა, საძოვარი, 6 527 ჰა, სახნავი - 3 494 და მრავალწლიანი კულტურები - 2 354 ჰა.

გრაფიკი N 2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები.



მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგად გასული საუკუნის 90-იან წლებამდე რჩებოდა ჩაის წარმოება, თუმცა, გასული საუკუნის ბოლოს, არსებული ეკონომიკური კავშირებისა და შესაბამისად, ჩაის გასაღების ბაზრის მოშლამ, გამოიწვია ჩაის კულტურის წარმოების ინფრასტრუქტურის ნგრევა, რაც დარგის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელი ფაქტორად იქცა, რის გამოც დეგრადირებულია ჩაის პლანტაციები (980 ჰა).

სულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 77 ფერმერული მეურნეობიდან 43-ში წამყვანი დარგია მეფუტკრეობა, 6 მეთხილეობა, 16 მეცხოველეობა, 10 მეფრინველეობა და 2 კენკროვანი კულტურები. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლები ყურადღებას იქცევენ თავიანთი მოზაიკით, მოხატულობით, ფრესკული და ლაპიდარული წარწერებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლების სიაშია შესული. გარდა გელათისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა სამონასტრო კომპლექსი მოწამეთა და „ნაქალაქარი". ასევე, ჯვარისის, ცუცხვათის და საწირის ციხეები.

2017 წელს 2014 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის მაღალი ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: რესტორნები - 67%; სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა 52%; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 43%; გადამამუშავებელი მრეწველობა -18%.

საწარმოების რაოდენობის ზრდასთან ერთად აგრეთვე იზრდება მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოების პროდუქციის გამოშვება და შემოსავლები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს 2014 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 28%-ით, ხოლო საწარმოების ბრუნვა 45%-ით. აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება მომსახურების სფეროსა და სამშენებლო ბიზნესის განვითარებას, რაც მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მატებასთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის, ასევე დაბალი ცნობადობის გამო, მუნიციპალიტეტი არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ზონად (ცნობილია მხოლოდ გელათისა და მოწამეთის მონასტრები, ნაწილობრივ ცუცხვათის მღვიმე, თუმცა ისინი განიხილება ქ. ქუთაისის ტურისტულ პროდუქტებად).

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი უკეთ უნდა იქნას გამოყენებული და ათვისებული ბიზნესსექტორის მხრიდან, რისთვისაც მთავრობას შეუძლია დანერგოს და განახორციელოს შესაბამისი ხელისშემწყობი პროექტები და ღონისძიებები. და ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტში.

ii. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში არსებულ საოჯახო სასტუმროების ქსელსა და ტურიზმის სექტორში საქმიანობით დაინტერესებულ მეწარმეებს, ძირითადად მათთვის ინფორმაციის მიწოდებისა და სარეკლამო საქმიანობის კუთხით.

იმერეთის რეგიონში იგეგმება ტურიზმის საქმიანი-საკომუნიკაციო ქსელის (DMO) შექმნა, რომლის წევრიც მუნიციპალიტეტი იქნება და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას მის საქმიანობაში. მუნიციპალიტეტს გაეზრდება შესაძლებლობა ხარისხიანი სერვისი მიაწოდოს ტურისტებს.

მერი თვეში ერთხელ ხვდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსა და ახალგაზრდული თვითმმართველობის წევრებს, რომლის ფარგლებშიც ხდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება ბიზნეს ორგანიზაციებსა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ეს დამკვიდრებული პრაქტიკაა, რათა იმსჯელონ მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებაზე, შესაძლო ფინანსურ წყაროებსა და მუნიციპალიტეტის

იმიჯის გაუმჯობესებაზე, როგორც კარგ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილზე, სადაც მიმზიდველი საინვესტიციო გარემოც არის.

მნიშვნელოვანია მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობა „დანერგე საქართველოში“ და „ENPARD საქართველოში“ პროგრამების წარმატებულად განხორციელების საქმეში, რომელთა მიზანი მიკრო და მცირე მეწარმეების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საგრანტო მხარდაჭერაა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან, რაზეც წარსულში განხორციელებული არაერთი პროექტი მეტყველებს. ამჟამად მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ჩეხურ არაკომერციულ ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ (PIN)“-თან, „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდთან (TDDF)“. PIN-საქართველოს ოფისი ტყიბულში დაფუძნდა 2005 წელს და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით არაერთი პროგრამა განახორციელა მუნიციპალიტეტში. ამ პროგრამების ფარგლებში გაიცა 42 გრანტი. დაფინანსებამიღებული მეწარმეები წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას. TDDF-თან თანამშრომლობით სასოფლო ტურიზმის განვიოთარების არაერთი პროექტი განახოლციელა მუნიციპალიტეტმა. ბოლოს, 2018 წელს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა საფეხმავლო ტურისტული ბილიკის მოწყობის პროექტი.

ცხრილი 3: ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება

სათაური და / ან ფუნქცია (სფერო/ საკითხი)	დაკავშირებული დაწესებულებები/პირები	მიღწევები (ასევე, მიუთითეთ, თუ როგორ მუშაობს - მაგ. „გეგმები“, პროექტებს ახორციელებს, აწვდის მომსახურებას, მუდმივია ან სპეციალური/შემთხვევითია)	შეფასება: სასარგებლო ან უსარგებლო
მცირე ბიზნესის ხელშეწყობა	მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური მეწარმეობის განვითარების სააგენტო; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გრანტის მიმღები მეწარმე.	სულ 2010-2017 წ. ბენეფიციარი 50 პირი. თანხა 500,000 ლარზე მეტი. ეს არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიმართულია მიკრო და მცირე მეწარმეთა იდეების განსახორციელებლად.	აღნიშნული პროგრამა სასარგებლოა, რადგან დაფინანსებულ ბენეფიციართა 80-90% აგრძელებს საქმიანობას და ვითარდება.
სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	ENPARD საქართველოში; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობა; სსო; გრანტის მიმღები ბენეფიციარები.	2014-2017 წლეებში დაფინანსდა 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი საერთო თანხით 408921 ლარი. პროგრამა ცხადდება საჭიროებისამებრ.	იქიდან გამომდინარე, რომ სამივე კოოპერატივი წარმატებით ფუნქციონირებს და იზრდება, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამა სასარგებლოა.
მოქალაქეთა ფართო ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში	მერის მრჩეველთა საბჭო; შშმპ საკითხებზე მომუშავე საბჭო; გენდერულ საკითხებზე მომუშავე საბჭო; ახალგაზრდული საბჭო მერიის სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო.	საბჭოები იკრიბება ყოველთვიურად და ახორციელებენ დებულებით დადგენილ ამოცანებს. მერიის სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოსთან ერთად ჩატარდა სოციალური საჭიროებების კვლევა, მომზადდა მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების სოციალური ჩართულობის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა. მონიტორინგი იქნა გაწეული მუნიციპალიტეტის სოციალურ ბიუჯეტსა და განხორციელებულ სოციალურ პროექტებზე.	თანამშრომლობა სასარგებლოა.
თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია; ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ (PIN)“;	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან, რაზეც წარსულში განხორციელებული არაერთი პროექტი მეტყველებს. განხორციელდა არაერთი	თანამშრომლობა სასარგებლოა.

	ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი (TDDF).	მეწარმეობის განვითარების პროექტი, გაიცა ერთობლივი გრანტები და სხვა.	

შემდგარი თანამშრომლობის შედეგად მივიღეთ სხვადასხვა პროგრამებიდან მოზიდული ფინანსური სახსრები და თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული და მიმდინარე პროექტები. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა ბიზნესებსა და ადმინისტრაციას შორის სუსტი თანამშრომლობა და კოოპერაცია, მართალია ადგილი აქვს გარკვეულ კონტაქტებს მუნიციპალიტეტსა და კერძო სექტორს შორის, თუმცა იგი შემთხვევითი ხასიათისაა და არ არის ფოკუსირებული განვითარების შესაძლებლობებზე.

iii. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლებს არ აქვთ გამოცდილება პროაქტიულად მიაწოდონ ინფორმაცია და სერვისები ბიზნეს კომპანიებს. ამ კუთხით საქმიანობა დამყარებულია ე.წ. „მოთხოვნა-მიწოდების“ პრინციპზე და ისინი ჩვეულებრივ პასუხობენ სხვადასხვა მოთხოვნებს და ინდივიდუალურად უდგებიან ბიზნეს კომპანიებს, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მათი მიდგომები ზოგიერთ შემთხვევაში სუბიქტურია.

ამჟამად, მუნიციპალიტეტში იგეგმება ბიზნესფორუმების მოწყობა, რათა გაუმჯობესდეს ბიზნეს კომპანიებთან კომუნიკაცია და დროულად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ფორუმის დანიშნულება იქნება კერძო სექტორის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მუნიციპალიტეტიდან ემიგრირებული ახალგაზრდობის, აგრეთვე თბილისსა თუ უცხოეთში მოღვაწე მეწარმეთა კონსოლიდაცია. მიმდინარე ეტაპზე ნათლად გამოხატულია მათი წინასწარი დაინტერესება ტყიბულში სხვადასხვა მასშტაბის ინვესტიციის განხორციელებაზე. კერძოდ, საუბარია წილობრივ მონაწილეობებზე ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვა სფეროების პროექტებში. მუნიციპალიტეტი გეგმავს ბიზნესფორუმების მოწყობა ტრადიციად ჩამოაყალიბოს და აღნიშნულით უზრუნველყოს, როგორც დაინტერესებული, ასევე ადგილობრივი მეწარმეები შესაბამისი ინფორმაციით შესაძლო ფინანსური რესურსებისა და ასევე, მუნიციპალური სერვისების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ მათთვის დახმარების გაწევა. ასევე, ფორუმის დანიშნულება იქნება ადგილობრივი ბიზნესების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი გამოწვევების შესახებ ინფორმაციებით, რაც სტიმულს მისცემდა მათ მოეხდინათ წარმოების მოდერნიზაცია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ახალ ბაზრებზეშესვლა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობა ადგილობრივ ფერმერებთან პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო სახის შეხვედრებს და ასევე ფერმერებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც უწევენ. ადგილობრივი ეკონომიკის სხვა დარგის წარმომადგენლებისთვის მსგავის ტიპის შეხვედრები არ იმართება. ეს მხოლოდ შემოიფარგლება ინდივიდუალური კონსულტაციებით მერთან ან ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენლებთან. საჭიროა შეიქმნას ბიზნესისთვის საკონსულტაციო ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც დაეხმარება დამწყებ და არსებულ ბიზნესებს, ბიზნეს გემების მომზადებასა და დაფინანსების მოპოვებაში.

მიუხედავად მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაერთი მცდელობისა, დღემდე დაბალია საკრებულოს სხდომებზე ჩართულობის დონე, როგორც მოსახლეობის, ასევე სამოქალაქო და კერძო სექტორის მხრიდან. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემატურია, რადგანაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის - ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა-მიღება ხდება დაინტერესებული მხარეების დაბალი ჩართულობით.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ყველა ტენდერის შესახებ განთავსებულია შესაბამის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სატენდერო წინადადებების გახსნაში. ფუნქციონირებს ადგილობრივი ინტერნეტტელევიზია, მუნიციპალიტეტი აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას, სადაც აშუქებს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას.

მუნიციპალიტეტი აწარმოებს გარკვეული ხარისხის დიალოგს ადგილობრივ ბიზნეს თემთან. დიალოგი შეეხება საერთო ინტერესის საკითხებს, თუმცა არ ახლავს შედეგებზე ორიენტირებული გრძელვადიანი ინიციატივები.

ცხრილი 4: ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევები

(ზრდის) სექტორი (ქვე-სექტორი)	ძირითადი გამოწვევები, რომელთა დასაძლევად სავარაუდოდ აუცილებელია ბიზნესის დახმარება
სექტორი - სოფლის მეურნეობა: ქვე სექტორები - მეჩაიეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა	ჩაის წარმოების განვითარებისათვის ვარგისი მიწის ნაკვეთები სახელმწიფო საკუთრებაშია და ფერხდება პრივატიზაცია; ფინანსების სიმწირე; თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა; მიღებული პროდუქციის ხელსაყრელ ფასად რეალიზაცია, სამაცივრე და გადამამუშავებელი მეურნეობების არარსებობა.
სექტორი - სამრეწველო საქმიანობა: ქვე სექტორები : ქვანახშირის წარმოება, ჰესი; ხილის გადამუშავება; ხე ტყის მოპოვება გადამუშავება; ბლოკის წარმოება; პურის წარმოება; მეტალო პლასმასის წარმოება; ხე ტყის გდამუშავება; ხის და ლამინატის ავეჯის დამზადება.	მოძველებული ტექნოლოგიები, მძიმე შრომითი პირობები - უსაფრთხოება; ინვესტორების დაბალი ინტერესი, რაც ხელს უშლის სექტორის ზრდა-განვითარებას; ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა (გრძელვადიანი იაფი კრედიტი)
სექტორი - საცალო ვაჭრობა ქვე სექტორები: მცირე ტიპის სავჭრო ობიექტები/მაღაზიები	არასასოფლო სამეურნეო მიწაზე ხელმიუწვდომლობა; ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა (გრძელვადიანი იაფი კრედიტი)
სექტორი - ტურიზმი	მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა კურორტებსა და ღირსშესანიშნაობებზე; სასტუმროებისა და ჰოსტელების სიმცირე; გაუმართავი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი; განუვითარებელი ტურ მარშუტები; სერვისების ნაკლებობა; დასაქმებული კადრების დაბალი კვალიფიკაცია.
სექტორი: სასტუმროები	რაოდენობრივად მცირე (ცოტა) სასტუმროები; არსებული სასტუმროები უმეტესად საშუალოზე დაბალი ხარისხისაა; მომსახურების დაბალი დონე, კადრების დაბალი კვალიფიკაცია.

iv. წვდომა ფინანსებზე

ტყიბულში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეზღუდული ფინანსურ რესურსები და გამოცდილება აქვთ იმისთვის, რათა განახორციელონ ინოვაციური ქმედებები ან მიდგომები ბიზნესის განვითარების სტიმულირებისათვის, რაც კარგად იქნება მორგებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ კონტექსტზე და უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას. მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი კომერციული ბანკების ფილიალები (საქართველოს ბანკი და ლიბერთი ბანკი) განთავსებულია მხოლოდ ქ. ტყიბულში. ბიზნესის განვითარებისთვის არსებული ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია შეზღუდულია და ყოველთვის არ არის სანდო, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის სოფლებში. ბიზნესკომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ფინანსური ინსტიტუტები დაბალი ლიკვიდურობის გამო, ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში არსებულო ქონებას არ განიხილავენ

გირაოს სახით. შესაბამისად, მხოლოდ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები აქტიურობენ სესხების გაცემის კუთხით და მოსახლეობასა და ეკონომიკური აქტივობით დაინტერესებულ პირებს უწევთ მაღალპროცენტიანი, კაბალური პირობების სესხების აღება.

გარდა საბანკო სექტორისა, ბიზნესის განვითარებისათვის დამწყები და არსებული ბიზნესებისათვის არსებობს ფინანსებსა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა შესაძლებლობები. ძირითადად ესენია სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში, რომელთა შორის დანერგე მომავალი და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაში ტყიბული სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორისაა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსახლეობაში დაბალია სახელმწიფო და სხვა დონორული პროგრამების შესახებ ცნობადობა. მუნიციპალიტეტი გეგმავს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მეშვეობით ჩამოაყალიბოს ინფორმაციის გავრცელების მექანიზმი, რომლითაც მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას „აწარმოე საქართველოში“ და სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების შესახებ.

v. მიწა და ინფრასტრუქტურა

ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მუნიციპალიტეტი ახორციელებს ყველა მუნიციპალური მიწის ნაკვეთისა თუ შენობის იდენტიფიცირებასა და მათი შესაძლო ინვესტორებისათვის შეთავაზებას. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ ამ მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ძირითადი ნაწილის მფლობელად რჩება სახელმწიფო და არა მუნიციპალიტეტი. სახელმწიფო ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 61,6%-ს (სულ 12396 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწიდან სახელმწიფოს საკუთრებაშია 7630 ჰა). რაც კერძო საკუთრებაშია გაცემული, ისიც მკვეთრადაა დანაწილებული და 8221 მფლობელი ყავს, შესაბამისად საშუალოდ ერთ სუბიექტზე 0,58 ჰა მოდის. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მთაგორიანობიდან გამომდინარე, მიწის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, კერძო მფლობელებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საინვესტიციო პოტენციალი დაბალია და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სახნავი (426 ჰა) და მრავალწლიანი ნარგავებით (ძირითადად ჩაი, 900 ჰა) დაკავებული მიწის ნაკვეთები შეგვიძლია განვიხილოთ საინვესტიციო პოტენციალად. მუნიციპალიტეტში მხოლოდ 4 შედარებით მსხვილი (10 ჰა და ზევით) მიწის მესაკუთრეა და ყველა მათგანის საკუთრება ჩაის მრავალწლიან საკუთრებასთანაა დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 35400 ჰას და ძირითადად ტყითაა დაკავებული. მიწის ძირითადი მესაკუთრე აქაც სახელმწიფოა და მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, საინვესტიციოდ ვარგისი მიწის ნაკვეთების გადმოცემა მუნიციპალიტეტისათვის არ ხდება. პოტენციური ინვესტორის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო ძირითადად თავად ყიდის მიწის ნაკვეთებს.

მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ძალისხმევას ახორციელებს ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით. ძირითადად აღნიშნული გამოიხატება ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო, სპორტული, გასართობი, სოციალური და სხვა,ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. ბოლო წლებში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე. მუნიციპალიტეტი ცდილობს ყველა სასოფლო დასახლებულ პუნქტი უზრუნველყოფილი იყოს ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელი კეთილმოწყობილი

საავტომობილო გზით. მუნიციპალიტეტის ყველა სასოფლო პუნქტის გამართული საგზაო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის დასრულება დაგეგმილია 2021 წლისათვის.

vi. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურები სხვა ქვეყნებთან შედარებით მარტივია. ნებისმერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ერთ დღეში დაარეგისტრიროს თავისი ბიზნესი სასურველ მუნიციპალიტეტსა და ქალაქში. რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სახლი.

ქვეყანაში არსებული 6 სახის გადასახადიდან მხოლოდ 1 - ქონების გადასახადი არის ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადი. მუნიციპალურ დონეზე წყდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხები. ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2 სახის ადგილობრივი მნიშვნელობის მოსაკრებელი არსებობს, ესენია: დასუფთავების და მშენებლობის ნებართვის. აღნიშნული მოსაკრებლები, საკრებულოს მიერ მიღებლი ნორმატიული აქტით იმგვარად არის განსაზღვრული, რომ არ ზღუდავს ბიზნეს სუბიექტების განვითარებას.

კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა სახელმწიფოს პრიორიტეტია, შესაბამისად ცენტრალური და ადგილობრივი საგადასახადო პოლიტიკა ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული.

ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს რიგი გაუმართლებელი წესები, რეგულაციები და სხვა ადმინისტრაციული ბარიერები. ყველაზე დიდი პრობლემა მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველა პროცედურის გავლაა. ამ სფეროში არ არსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის. თითოეულ ცალკეულ დამტკიცებას დრო სჭირდება და მშენებლობის ნებართვაზე განაცხადების განხილვა არ ხდება ერთდროულად ყველა პასუხისმგებელი უწყების მიერ, ხოლო მომდევნო უწყება ელოდება წინა უწყების განხილვის შედეგს. აღნიშნული იწვევს ყოფილი ინდუქტრიული შენობებისათვის ახალი ეკონომიკური დატვირთვის მიცემის პროცესს. მუნიციპალიტეტში მრავლადაა ასეთი შენობები, რომელთა გამოყენების პროცედურების გამარტივება მნიშვნელოვან სტიმულს მიცემდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

ადგილობრივი რეგულაციების, მათ შორის პრივატიზაციის, აუქციონების მოწყობისა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცედურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, რომლის წარმომადგენლებიც მოსახლეობის მიერაა არჩეული. შესაბამისად, ამ რეგულაციების მიღების პროცესი შედარებით გამჭვირვალეა.

vii. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება

სამუშაო ძალის განვითარება მუნიციპალიტეტისთვის შედარებით ახალი კონცეფციაა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო სისტემა სრულად ვერ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. პროფესიული გადამზადების კუთხით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი დაწესებულება - ქ. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ისიც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მიმართულებით ახდენს კადრების გადამზადებას. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში გაიზარდა მოთხოვნა მიმტანებზე, უცხო ენების მცოდნე გიდებზე, საოჯახო სასტუმროების ადმინისტრატორებზე და სხვა. უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში მაღალიადა ძირითადად ესენია იურიდიული და ეკონომიკური განათლების მქონე ახალგაზრდა პროფესიონალები.

2015-2017 წლების მონაცემებით, მუნიციპალიტეტშისაშუალო განათლებას ყოველწლიურად საშუალოდ 180-190 ახალგაზრდა იღებს, რომელთა დაახლოებით 62-65% სწავლას აგრძელებს შემდეგ საფეხურზე, საკმაოდ დიდი ნაწილი კი რჩება ყოველგვარი განათლების გარეშე, რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს ზრდასრულთა პროფესიული განათლების მექანიზმების არსებობის აუცილებლობას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთადერთი მსხვილმასშტაბიანი დამსაქმებელი შ.პ.ს. „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფი", რომელიც თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებულ სამთო ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან და უკვეთავს მას შესაბამისი სპეციალობის კადრების გადამზადებას, თუმცა ზოგადად, კოორდინაციას მუნიციპალიტეტს, ბიზნეს სექტორს, საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებს შორის წარმატებულს ვერ დავარქმევთ. თანამშრომლობას არა აქვს ორგანიზებული ხასიათი და ეს არ არის შეთანხმებული ამავე სექტორში მომუშავე სხვა კომპანიებთან. მუნიციპალიტეტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდება ზრდასრულთა პროფესიული გადამზადების კურსები. კურსებისათვის პროფესიების შერჩევაში მონაწილეობს მუნიციპალიტეტი, რომელიც სამინისტროს აწვდის ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მოთხოვნადი პროფესიების შესახებ და შემდეგ, კურსების გამართვის პერიოდში უზრუნველყოფს მათ შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ამჟამად მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ადგილობრივი განვითარებისა და მიგრაციული პროცესების მართვის გეგმის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც მიგრაციასთან კავშირში მყოფი მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და ღირებულებითი კაპიტალი შეგვიძლია განვიხილოთ მნიშვნელოვან ადამიანურ კაპიტალად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის.

viii. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

ტყიბულის მუნიციპალიტეტს აქვს პერსპექტივა გადაიქცეს მიმზიდველ ადგილად საცხოვრებლად, სამუშაოდ, ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ადგილმდებარეობის ფაქტორი მნიშვნელოვანია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა ფიზიკური და ბუნებრივი გარემოსა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კარგად არის შენარჩუნებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტის სასახლე, საცურაო აუზი და მცირე ზომის მწვანე სივრცეები სათამაშო მოედნებით.

ახალი საოჯახო სასტუმროების გახსნასთან ერთად, შეიქმნა საფეხმავლო ბილიკები, უფრო მრავალფეროვანი გახდა მუნიციპალური კულტურული ღონისძიებების პროგრამა, რამაც განაპირობა ტურისტების ნაკადის ეტაპობრივი ზრდა ქვეყნის სხვა რაიონებიდან და საზღვარგარეთიდან. ტურიზმის განვითარების საინფორმაციო ცენტრი მუშაობს მუნიციპალიტეტის ტურისტულ ადგილად პოპულარიზაციის მიმართულებით და მონაწილეობს ტურიზმის რეკლამირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

გარე პოზიციონირებისა და მარკეტინგის კუთხით მუნიციპალიტეტს საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლების საფუძველზე ჩამოყალიბებული წარმატებული მაგალითები: ამჟამად მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ცხრაჯვარის სარეკრეაციო ტერიტორიის პოტენციურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო არეალების, განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შემუშავების პროცესი. მუნიციპალიტეტს გეგმის შემუშავების შემდეგ განზრახული აქვს ის ნაწილობრივ (ძირითად ინფრქტრუქტურულ ნაწილს მუნიციპალიტეტი შეასრულებს თვითონ, იხილეთ სამოქმედო გეგმაში)

განსახორციელებლად შეთავაზოს პოტენციურ ინვესტორებს, რომელთა მხრიდანაც დაინტერესება უკვე არსებობს. მნიშვნელოვანი წარმატებულია ასევე სოფელ საწირის მაგალითი. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ეკონომიკური ინსტიტუტების და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით მომზადდა სოფელ საწირის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტი: „საწირე - მომავლის სოფელი, კონკურენტუნარიანობის ამაღლება ტურიზმისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობით“, რომელსაც საფუძვლად დაედო კვლევა, რომელიც დაფინანსებული იყო ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის მიერ.

გარე პოზიციონირებისა და მარკეტინგის, ზოგადად ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორებია: საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის არ ქონა, ადგილობრივი პროდუქციისა და სერვისის არასაკმარისი ცნობადობა, ხარისხის საერთაშორისო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არასათანადო სავაჭრო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური კადრები. ამ მიმართულებით გამოუყენებელია ქართული დიასპორის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტს, როგორც ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის, ისე მათი მიმღები ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტებთან ეკონომიკური კავშირების დამყარების, მუნიციპალიტეტების დაძმობილების ხელშეწყობის და სხვ. გზით.

7. მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, შემდგომი გაფართოების პერსპექტივით და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით; მოთხოვნადი, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჩაის წარმოების აღდგენის პერსპექტივა, პოპულარული ბრენდი „ტყიბულის ჩაი“; მდიდარი წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები; ტურიზმის განვითარების პერსპექტივა: - ზომიერი კლიმატი, ბუნებრივი გარემო; ისტორიულ კულტურული და ბუნების ძეგლების მრავალფეროვნება; მნიშვნელოვანი ისტორიული და ბუნებრივი ძეგლები: გელათი, მოწამეთა, ცუცხვათის მღვიმე; საფეხმავლო, საცხენოსნო, სარკინიგზო, კულტურულ-საგანმანათლებლო, მომლოცველობითი, სპელეო და სათავგადასავლო-აღმოჩენითი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; იმერული სტუმარმასპინძლობის ტრადიციები. სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ცენტრებთან სიახლოვე: რკინიგზა, კოპიტნარის აეროპორტი, ფოთის და ბათუმის პორტები; გამართული საგზაო და ენერგო ინფრაქტრუტურა.	მოსახლეობის მიგრაცია, შრომითი და კვალიფიციური რესურსის გადინება, დემოგრაფიული პრობლემები; არადივერსიფიცირებული ეკონომიკა, ერთ სუბიექტზე (საქნახშირი) დამოკიდებული ქ. ტყიბული; განუვითარებელი სოფლის მეურნეობა: მწირი და მცირე მიწიანობა, მოძველებული ტექნოლოგიები, დაბალი კვალიფიკაცია; აუთვისებელი ბუნებრივი რესურსები. მოძველებული ტექნოლოგიები; ინვესტორებთან და ბიზნესთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება; ტურისტული განთავსებისა და კვების ინფრაქტრუტურის ნაკლებობა; ტურისტული სერვისის, მომსახურების სფეროში დაბალი კვალიფიკაცია, მწირი გამოცდილება; მოძველებული შიდა ტრანსპორტი; ინტერნეტზე, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არაორგანიზებულობა; ფულად-საკრედიტო რესურსისადმი დაბალი ხელმისაწვდომობა;

	დიასპორის პოტენციალისა და ემიგრაციაში მყოფი და დაბრუნებული მიგრანტების შესაძლებლობების გამოუყენებლობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სასოფლო-სამეურნეო პროგრამები. მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა; სახელმწიფოს მხრიდან სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი გარემო; სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების პოპულარიზაცია; ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი გარემო; ინვესტორების მხრიდან ტურისტული ინფრასტრუქტურისადმი გაზრდილი ინტერესი.	კლიმატის ცვლილება ბუნებრივი და გარემო პირობები; პოლიტიკური არასტაბილურობა; გარემოს დაბინძურების საფრთხე; სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია; სტიქიური მოვლენები; ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა; გარე კონკურენცია სხვა მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

მუნიციპალიტეტის SWOT და 2012-2017 წლების ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი მიანიშნებს იმაზე, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ღრმად განიცდის სირთულეს კომერციალიზაციის პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით. პრაქტიკულად, მუნიციპალიტეტის ეკონომიკა რჩება არადივერსიფიცირებული (მონოეკონომიკა) და დამოკიდებული მხოლოდ ერთ მსხვილმასშტაბიან აქტორზე - სამთო მოპოვებით (ქვანახშირის) მრეწველობაზე. ერთ დროს პოპულარული ტყიბულის ჩაისაგან, ამ ეტაპზე მხოლოდ მისი პოპულარული სახელია დარჩენილი, თუმცა აღნიშნულს აქვს პერსპექტივა, დარგის განვითარების შემთხვევაში, და ამ კუთხით უკვე დაწყებულია მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, იქცეს მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებების მცხოვრებთათვის ეკონომიკური შემოსავლების გაჩენის შესაძლებლობად. ტურისტებისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტი შეიძლება იქცეს მიმზიდველ ადგილად, მისი მრავალფეროვანი ტურისტული ძეგლებისა და ორ ცნობილ ტურისტულ ადგილს - ქუთაისსა და რაჭას შორის ადგილმდებოარეობიდან გამომდინარე. დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შესაძლებელია იქცეს მომსახურების სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების არქონა, მიგრაცია ახალგაზრდებსა და შედარებით მაღალი კვალიფიკაციის მოსახლეობაში, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ამ პრობლემების აღმოფხვრისაკენ მიიმართოს მაქსიმალური ძალისხმევა. დარგის განვითარებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას გარემოს დაბინძურებისა და სატყეო ფონდის შემცირების საფრთხეები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობას და მასზე გეგმაში მთავარი აქცენტების დასმის აუცილებლობას ასევე ადასტურებს შემდეგი ფაქტი: შ.პ.ს. „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფზე“ (საწარმოს წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ადგილობრივ შემოსავლებში 94,93%-ია; ბიზნესსექტორში დასაქმებულებს შორის საქნახშირში დასაქმებულების პროცენტული წილი 80,51%), რომელიც სამთო-მოპოვებით მრეწველობას ეწევა. სამთო მოპოვებითი მრეწველობის გამოკლებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მიზერულია.

აღნიშნული დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია, რადგანაც ბოლო პერიოდის მოვლენები აჩვენებს, არსებობს შესაძლებლობა, ინვესტორმა დატოვოს საწარმო და მუნიციპალიტეტი დარჩეს ძირითადი დამსაქმებლისა და ეკონომიკური შემოსავლების გარეშე. შესაბამისად, ეკონომიკის დივერსიფიცირება და მხოლოდ ერთ მეწარმე სუბიექტზე დამოკიდებულების შემცირება, რჩება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების უმთავრეს გამოწვევად. არსებულ ფონზე, საქართველოში არსებული საბანკო კრედიტების სიძვირისა და კაპიტალის ალტერნატიული ბაზრების პრაქტიკულად არარსებობის გამო, ასევე ტყიბულის მუნიციპალიტეტის განსახლების, შრომითი ბაზრისა და ეკონომიკის პროფილის გათვალისწინებით, ქვანახშირის მრეწველობის გამორიცხვის შემთხვევაში, გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორების ენდოგენური (ანუ მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით) დამოუკიდებელი ზრდა მოსალოდნელი არ არის. აუცილებელია მუნიციპალიტეტმა მაქსიმალური ძალისხმევა ჩადოს ამ დარგების განვითარებაში, შესაბამისი ინფრასტრუტურისა და განვითარების პირობების სახით.

LED გეგმის ძირითადად ტურიზმის განვითარებაზე მიმართვის შემთხვევაში, დარგის განვითარების პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ტურისტების ადგილზე დაკავებას, მათთვის გრძელვადიანი, რამდენიმე დღეზე გათვლილი სერვისის შეთავაზებას, ამ კუთხით, ტურიზმის მომსახურების სფეროს ბიზნესების და შინა მეურნეობების განვითარება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. მუნიციპალიტეტში არსებობს შესაბამისი პოტენციალი, საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების სახით - გელათისა და მოწამეთის მონასტრები, ცუცხვათის მღვიმოვანი. მათთან ერთად, ამ ეტაპზე არა ცნობადი, თუმცა განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე, 130-მდე ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი, ეთნოგრაფიული ძეგლის სახით. ასევე, გარკვეულ უპირატესობას იძლევა მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა ცნობილ ტურისტულ ლოკაციებს - რაჭასა და ქ. ქუთაისს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ შესაძლებლობათა განვითარებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

8. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ხედვა და მიზნები

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოეული თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, პარტნიორების ყველა მონაწილე მხარის ჩართულობით შემუშავებული და გაზიარებული იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

ხედვა

ტყიბული - მუნიციპალიტეტი, სადაც მდიდარი ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის საფუძველზე უზრუნველყოფილია ეკონომიკის მდგრადი განვითარება და შექმნილია მიმზიდველი გარემო ცხოვრების, მუშაობისა და დასვენებისათვის.

სტრატეგიული მიზნები

1. ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ბიზნეს-მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა;

2. მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის ფორმირების ხელშეწყობა;

3. მეწარმეობის შესაძლებლობების გაზრდა და ბიზნესუნარების განვითარება.

9. სამოქმედო გეგმა 2019-2020

თემატური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება (ლარი, ევრო)	მონიტორინგის მაჩვენებლები/მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები/საბოლოო შედეგების ინდიკატორები
1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	1. ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ბიზნეს-მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა	1.1. კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება	01.01.2019 – 31.07.2019	ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიზნესსექტორი, ადგილობრივი და საერთაშორისო სსო	3 000 GEL; 1056 EUR	**მყისიერი შედეგი:** მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია მცირე და მიკრობიზნესის განვითარების ინსტიტუციური მექანიზმი. **ინდიკატორები:** 1. ჩამოყალიბებული საბჭო, რომელშიც გაწევრიანებულია მცირე და მიკრო ბიზნესის 10 წარმომადგენელი; საბჭოს 2 წლიანი სამოქმედო გეგმა.	**საბოლოო შედეგი:** ეკონომიკური აქტიორებისათვის გაზრდილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორები:**
		1.2. კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის განვითარება.	01.10.2019 – 31.12.2019	ადგილობრივი თვითმმართველობა, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორის დეპარტამენტი, მეწარმეები როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე მის ფარგლებს გარედან; IOM	18000 GEL; 6330 EUR	**მყისიერი შედეგი:** დამყარებულია საქმიანი ურთიერთობები დიასპორისა და ბიზნესის, ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის. მოეწყო ბიზნესფორუმი დიასპორისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით. **ინდიკატორები:** 1. ფორუმის მონაწილეთა რაოდენობა;	**საბოლოო შედეგი:** გაზრდილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ხელმისაწვდომობა ადგილობრივ კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის. **ინდიკატორები:** ერთობლივი საინვესტიციო პროექტებით დაინტერესება

		1.3. ადგილობრივი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებების პოპულარიზების მიზნით ყოველწლიური გამოფენა-გაყიდვების მოწყობა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა	01.09.2019 – 31.10.2019 01.09.2020 – 31.10.2020	ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიზნესსექტორი, ტურიზმის დეპარტამენტი, ადგილობრივი და საერთაშორისო სსო	12000 GEL; 4225 EUR	**მყისიერი შედეგი:** მოწყობილია ადგილობრივი პროდუქტებისა და ტურისტული სერვისის გამოფენა - გაყიდვა. **ინდიკატორები:** 1. 2 გამოფენა - გაყიდვა; 2. 3 საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მიღება.	**საბოლოო შედეგი:** გაზრდილია მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პროდუქტისა და ტურისტული შეთავაზებების შესახებ ცნობადობა.
1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. მიწა და ინფრასტრუქტურა; 3. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება.	2. მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის ფორმირების ხელშეწყობა	2.1. განვითარების პერსპექტივის მქონე მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამის შემუშავება	01.01.2019 – 31.07.2019	ადგილობრივი და საერთაშორისო სსო, ბიზნესსექტორი, ტურიზმის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა; სფეროს ექსპერტები.	30 000 GEL; 10563 EUR	**მყისიერი შედეგი:** იდენტიფიცირებულია პერსპექტიული მიმართულებები. **ინდიკატორები:** 1. იდენტიფიცირებული პერსპექტიული მიმართულებები; 2. მომზადებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმართულებების განვითარების გეგმა	**საბოლოო შედეგი:** გაზრდილია მუნიციპალიტეტის შესაძლებლობა მიზანმიმართულად დაგეგმოს გრძელვადიან ეკონომიკურ ეფექტზე გათვლილი ტურისტული განვითარება **ინდიკატორები:** მომზადებული ტურისტული მიმართულებების განვითარების გეგმა.

		2.2. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	01.05.2019 – 31.12.2020	ადგილობრივი და საერთაშორისო სსო, ბიზნესსექტორი, ტურიზმის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა;	3 518 000 GEL; 1238732 EUR	**მყისიერი შედეგი:** 1. მოწყობილია ცხრაჯვარის ტურისტული კომპლექსის ძირითადი ინფრასტრუქტურა (გზა, წყალი, ელექტროენერგია); 2. მოწყობილია 3 საფეხმავლო ტურისტული ბილიკი; 3. ქ. ტყიბულის ისტორიულ შენობებთან საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა; 4. მოწყობილი საკემპინგე ტურისტული ინფრაქტრუქტურის. 5. საწირის ტურისტული ზონის მოწყობა; 6. კეთილმოწყობილი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. **ინდიკატორები:** ტურისტული დანიშნულების ადგილებამდე სათანადო წესით მოწყობილი გზების რაოდენობა; ახლად შექმნილი საპიკნიკე, საკემპინგე ადგილებისა და სალაშქრო/საფეხმავლო ბილიკების რაოდენობა; კეთილმოწყობილი 70 $მ^2$ ფართი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და სრულყოფილი საინფორმაციო ბაზით.	**საბოლოო შედეგი:** მუნიციპალიტეტში გაზრდილია ტურისტთა რაოდენობა; ტურისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის გაზრდილია ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობა სრულყოფილი ინფორმაცია მიიღონ მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურების შესახებ. **ინდიკატორები:** ტურისტთა რაოდენობა
		2.3. ტურისტული მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება	01.08.2019 – 31.12.2020	ადგილობრივი და საერთაშორისო სსო, ბიზნესსექტორი, ტურიზმის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა;	20000 GEL; 7042 EUR	**მყისიერი შედეგი:** ტყიბულის მუნიციპალიტეტში გაუმჯობესდება ტურისტული მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაცია. **ინდიკატორი:**	**საბოლოო შედეგი:** მუნიციპალიტეტში გაიზრდება ტურისტული მომსახურების ხარისხი. **ინდიკატორები:** გაიზარდა ტურისტების კმაყოფილება.

						1. ტრენინგი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა 150-მა ადამიანმა.	
1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი; 3. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება;	3. ბიზნესთან დაკავშირებული ადამიანური შესაძლებლობების ზრდა და უნარების განვითარება	3.1. სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების ინვენტარიზაცია (ინფორმაციის მოძიება, მონაცემების დაზუსტება) და კვლევის საფუძველზე საინვესტიციო პაკეტების მომზადება.	01.07.2019-30.11.2020	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია და საერთაშორისო სსო	30 000 GEL; 10000 EUR	**მყისიერი შედეგი:** 1. 10 ლოკაციაზე ჩატარებულია ინვენტარიზაცია 2. შემუშავებული საინვესტიციო პაკეტები **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1. ჩატარებული ინვენტარიზაციის რაოდენობა 2. საინვესტიციო პაკეტების რაოდენობა	**საბოლოო შედეგი:** **1.** გაზრდილია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით დაკავებული მიწების ფართობი, რომელიც ინვენტარიზაციის მიხედვით იყო რეკომენდირებული. 2. გაზრდილია სასარგებლო წიაღისეული მოპოვება-გადამუშავებითი ინვესტიციების რაოდენობა. **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1. ახალი ინვესტორების მიერ ათვისებული მიწების ფართობი 2)რესურსების ათვისებაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა
		3.2. ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო კურისების ჩატარება	01.07.2019 - 01.07.2020	ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი და საერთაშორისო სსო.	30 000 GEL; 10000 EUR	**მყისიერი შედეგი:** 1. ჩატარებულია 10 ტენინგი; 2. დატრენინგებულია 300-მდე ახალგაზრდა; 3. ახალგაზრდებმა იციან ბიზნეს გეგმების წერა; **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1. ტრენინგის ოქმი და დასწრების სია; 2. ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა; 3. მონაწილებიის გამოკითვა პრეტესტი და პოსტტესტი;	**საბოლოო შედეგი:** 1. გაიზარდა ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობა ბიზნესში; **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1. მონაწილეების მიერ ბანკებში და სხვადასხვა პროექტებში წარდგენილი ბიზნეს გეგმების რაოდენობა;

		3.3. ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ სასწავლო ტრენინგების ჩატარება	01.02.2020-01.12..2020	საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; ადგილობრივი თვითმმართველობა; ადგილობრივი და საერთაშორისო სსო.	30 000 GEL; 10000 EUR	**მყისიერი შედეგი:** 1. ჩატარებულია 5 სასწავლო ტრენინგი; 2. ტრენინგის მონაწილებბმა იციან როგორ ჩაერთონ ელექტრონულ კომერციაში და შეუძლიათ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება. **მონიტორინგის მაჩვენებლები:** 1. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; 2. ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა; 3. პრეტესტი და პოსტტესტი.	**საბოლოო შედეგი:** 1. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს ფართოზოლოვან ინტერნეტში და ელექტრონულ კომერციაში ჩართულობა გაზრდილია; 2. სოციალურ დაუცველთათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული და ციფრული განათლება და ელექტრონულ კომერციაში ჩართულობა; **საბოლოო შედეგის ინდიკატორები:** 1. ფართოზოლოვან ინტერნეტსა და ელექტრონულ კომერციაში ჩართული საწარმოების რაოდენობა; 2. სოციალურად დაუცველების რაოდენობა, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ ელექტრონულ/ციფრულ განათლებაზე და ჩართულები არიან ციფრულ კომერციაში.

10. დაფინანსების სქემა

ქმედებები	სავარაუდო ხარჯები	დაფინანსების წყარო						დაფინანსების დეფიციტი	შენიშვნა
		ეროვნული პროგრამები	ადგილობრივი ბიუჯეტი	ზედა დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები	სხვები (მიუთითეთ)		

1.1. კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება	3 000 GEL 1017 EUR		2 000 GEL 678 EUR		500 GEL 170 EUR		500 GEL 170 EUR ადგილობრივი სსო		
1.2. კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის განვითარება (ფორუმი დიასპორისა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით)	18 000 GEL 6 100 EUR		10 000 GEL 3 390 EUR		2 000 GEL 678 EUR	6 000 GEL 2 034 EUR		6 000 GEL 2 034 EUR	
1.3. ადგილობრივი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებების პოპულარიზების მიზნით გამოფენა-გაყიდვების მოწყობა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა	12 000 GEL 4070 EUR		10 000 GEL 3 390 EUR		2 000 GEL 678 EUR				
2.1. განვითარების პერსპექტივის მქონე მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამის შემუშავება	30 000 GEL 10 170 EUR		20 000 GEL 6 780 EUR			8 000 GEL 2 712 EUR	2 000 GEL 678 EUR ადგილობრივი სსო	8 000 GEL 2 712 EUR	
2.2. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	3 518 000 GEL; 1 238 732 EUR		210 000 GEL 71 0190 EUR	3 205 000 GEL 1 086 440	50 000 GEL 16 950 EUR	50 000 GEL 16 950 EUR	3 000 GEL 1 017 EUR ადგილობრივი სსო	50 000 GEL 16 950 EUR	
2.3. ტურისტული მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება	20 000 GEL 6 780 EUR		10 000 GEL 3 390 EUR			10 000 GEL 3 390 EUR		10 000 GEL 3 390 EUR	
3.1. სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების ინვენტარიზაცია (ინფორმაციის მოძიება, მონაცემების დაზუსტება) და კვლევის საფუძველზე საინვესტიციო პაკეტების მომზადება.	50 000 GEL 16 950 EUR		40 000 GEL 13 560 EUR			10 000 GEL 3 390 EUR		10 000 GEL 3 390 EUR	
3.2. ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო კურსების მოწყობა	30 000 GEL		20 000 GEL			10 000 GEL 3 390 EUR		10 000 GEL 3 390 EUR	
3.3. ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ სასწავლო ტრენინგების ჩატარება	30 000 GEL		20 000 GEL			10 000 GEL 3 390 EUR		10 000 GEL 3 390 EUR	
ჯამი	3 711 000 GEL 1 257 970 EUR		342 000 GEL 115 932 EUR	3 205 000 GEL 1 086 440 EUR	54 500 GEL 18 475 EUR	104 000 GEL 35 254 EUR	5 500 GEL 1 865 EUR	104 000 GEL 35 254 EUR	

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

წინამდებარე გეგმის მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდება მუდმივმოქმედი (გეგმის შესრულების ხანგრძლივობის მიხედვით) სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იქნებიან უმცირესობაში და ძირითადად დაკომპლექტდება ადგილობრივი სამოქალაქო და ბიზნესსექტორების წარმომადგენლებისაგან.

ქმედება	ხანგრძლივობა	მოსალოდნელი შედეგები: თვე 1-6	მოსალოდნელი შედეგები: თვე 7-12	მოსალოდნელი შედეგები: თვე 13-18	მოსალოდნელი შედეგები: თვე 19-24
1.1. კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება	01.01.2019 – 31.07.2019	ჩატარებულია საორგანიზაციო სამუშაოები.	პლატფორმა ჩამოყალიბებულია და მუშაობს.		
1.2. კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის განვითარება (ფორუმი დიასპორისა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით)	01.10.2019 – 31.12.2019	ჩატარებულია საორგანიზაციო სამუშაოები.	ფორუმი ჩატარებულია.	ფორუმის შედეგები შეჯამებულია, დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები მომავალი ფორუმისათვის	
1.3. ადგილობრივი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებების პოპულარიზების მიზნით გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	01.09.2019 – 31.10.2019 01.09.2020 – 31.10.2020	ჩატარებულია საორგანიზაციო სამუშაოები.	შესრულემოეწყო ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 1 საერთაშორისო ფორუმშიბულია 100%	მიღწეული შედეგების შეფასება, ახალი ღონისძიებების საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება	მოეწყო ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2 საერთაშორისო ფორუმში
2.1. განვითარების პერსპექტივის მქონე მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამის შემუშავება	01.01.2019 – 31.07.2019	ჩატარებულია საოგრანიზაციო სამუშაოები. მოზადებულია სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ტურისტული მიმართულებების შესახებ	განვითარების პროგრამა შემუშავებულია	დაწყებულია სამუშაოები პროგრამის იმპლემენტაციისათვის.	

2.2. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	01.05.2019 – 31.12.2020	მომზადებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები	გამოცხადებულია ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვები	1. მოწყობილია ცხრაჯვარის ტურისტული კომპლექსის ძირითადი ინფრასტრუქტურა (გზა, წყალი, ელექტროენერგია); 2. მოწყობილია 1 საფეხმავლო ტურისტული ბილიკი; 3. ქ. ტყიბულის ისტორიულ შენობებთან მოწყობილია საინფორმაციო ბილბორდები;	1. მოწყობილია საკემპინგე ტურისტული ინფრაქტრუქტურა; 2. მოწყობილია საწირის ტურისტული ზონა; 3. მოწყობილია 2 საფეხმავლო ტურისტული ბილიკი; 4. დასრულებულია ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის რეკონსტრუქცია.
2.3. ტურისტული მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება	01.08.2019 – 31.12.2020	ჩატარებულია კვლევა ტურიზმის სფეროში კადრების საჭიროებების შესახებ	პროფესიული გადამზადების ტრენინგი გაიარა 30-მა ფიზიკურმა პირმა	პროფესიული გადამზადების ტრენინგი გაიარა 50-მა ფიზიკურმა პირმა	პროფესიული გადამზადების ტრენინგი გაიარა 70-მა ფიზიკურმა პირმა
3.1. სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების ინვენტარიზაცია (ინფორმაციის მოძიება, მონაცემების დაზუსტება) და კვლევის საფუძველზე საინვესტიციო პაკეტების მომზადება.	01.07.2019-30.11.2020	ჩატარებულია საოგრანიზაციო სამუშაოები. მოზადებულია სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების შესახებ	შესრულებულია სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების 40%-ის ინვენტარიზაციის სამუშაოები.	შესრულებულია სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების 80%-ის ინვენტარიზაციის სამუშაოები. მომზადებულია 1 საინვესტიციო პაკეტი.	შესრულებულია სასარგებლო წიაღისეულით დატვირთული მიწების სრული ინვენტარიზაციის სამუშაოები. მომზადებულია 1 საინვესტიციო პაკეტი.
3.2. ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო კურისების ჩატარება	01.07.2019 - 01.07.2020	ჩატარებულია კვლევა ბიზნესსაქმიანობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და ქალების საჭიროებების შესახებ	1. ჩატარებულია2 ტენინგი; 2. დატრენინგებულია 50-მდე ახალგაზრდა; 3. ახალგაზრდებმა იციან ბიზნეს გეგმების წერა;	1. ჩატარებულია 4ტენინგი; 2. დატრენინგებულია 125-მდე ახალგაზრდა; 3. ახალგაზრდებმა იციან ბიზნეს გეგმების წერა;	1. ჩატარებულია 4 ტენინგი; 2. დატრენინგებულია 125-მდე ახალგაზრდა; 3. ახალგაზრდებმა იციან ბიზნეს გეგმების წერა;

3.3. ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ სასწავლო ტრენინგების ჩატარება	01.02.2020-01.12..2020	ჩატარებულია კვლევა დაინტერესებულ პირებში საჭიროებების შესახებ	ჩატარებულია 1 სასწავლო ტრენინგი. ტრენინგკურსი გაიარა 20-მა ადამიანმა.	ჩატარებულია 2 სასწავლო ტრენინგი. ტრენინგკურსი გაიარა 40-მა ადამიანმა.	ჩატარებულია 2 სასწავლო ტრენინგი. ტრენინგკურსი გაიარა 40-მა ადამიანმა.
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)		**10%**	**30%**	**70%**	**100%**

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი